საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 1.	**ვაჭრობის სტატისტიკის სფეროს შემდგომი გაუმჯობესება**				
ამოცანა 1.1.	**საგარეო ვაჭრობის ინდექსების გაანგარიშება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები)**				
1.1.1. იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება CIF - იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში.	წარმოებულია საქონლის იმპორტის სტატისტიკა, როგორც CIF, ისე FOB ფასებში.	საქონლის იმპორტის სტატისტიკა FOB ფასებში გამოქვეყნებულია საქსტატის ვებგვერდზე: www.geostat.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	იმპორტის FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვებისათვის ჩატარდა სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის შედეგადაც განხორციელდა იმპორტირებული საქონლის CIF ღირებულებიდან ტრანსპორტირებისა და დაზღვევის ხარჯების გამოყოფა შერჩეული კატეგორიებისათვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტატისტიკური გამოკვლევიდან მიღებული მონაცემების დამუშავება და საბოლოო გაანგარიშებების მომზადება.
1.1.2. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის კვარტალური სტატისტიკის წარმოება	დაწყებულია მუშაობა მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების კვარტალურად გამოქვეყნების მიზნით	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	საქართველოს ეროვნული ბანკი	დაწყებულია მუშობა საქართველოს ეროვნულ ბანკთან. შემუშავებულია ზოგადი სამოქმედო გეგმა.
მიზანი 2.	**ევროკავშირის ტერიტორიაზე ექსპორტის ხელშეწყობა**				
ამოცანა 2.1.	**ევროკავშირის ტერიტორიაზე საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია**				
2.1.1. ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო	ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო	წლიური ანგარიშები	სსიპ ინვესტიციების სააგენტო		2026 წლის პირველ ნახევარში სააგენტოს დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში გამართულ 4 საერთაშორისო გამოფენაში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ღონისძიებებში, გამოფენებში და სავაჭრო მისიებში ქართული კომპანიების მონაწილეობის ხელშეწყობა	ღონისძიებებში, გამოფენებსა და სავაჭრო მისიებში მონაწილე ექსპორტიორი კომპანიების თანადაფინანსების შემთხვევა - 90 თანადაფინანსება. ევროკავშირის ქვეყნებში გამართული გამოფენებისა და სავაჭრო მისიების რაოდენობა, სადაც სააგენტოს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო ქართული კომპანია - 30 ღონისძიება				ჯამურად მოცემულ ღონისძიებებზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა 34 თანადაფინანსების ფაქტი. ინდივიდუალური ექსპო-გრანტის პროგრამის ფარგლებში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, გერმანიასა და ნიდერლანდებში 18 სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის გაფორმდა 37 ახალი ხელშეკრულება.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 2.2.	**მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობების განვითარება ექსპორტის მიმართულებით**				
2.2.1. მცირე და საშუალო ბიზნესების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება	სერტიფიცირებულ ექსპორტის მენეჯერთა რაოდენობა - 30 გადამზადებული პირი	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	ეკონომიკის განვითარების კორპორაცია	შერჩეული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება	2026 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა ექსპორტის მენეჯერების სასერტიფიკატო კურსი და გადამზადდა 22 ექსპორტის მენეჯერი.
2.2.2. ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის განხორციელება	მხარდაჭერილი ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა - 10 თანადაფინანსების შემთხვევა	სსიპ აწარმოე საქართველოში-ს წლიური ანგარიშები enterprisegeorgia.gov.ge	ეკონომიკის განვითარების კორპორაცია		საანგარიშო პერიოდში ექსპორტის სტიმულირების ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში კერძო სექტორის მხრიდან განცხადება არ შემოსულა.
მიზანი 3.	**ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკასთან**				
ამოცანა 3.1.	**კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შესახებ შეთანხმების III-A დანართის შესაბამისად**				
3.1.1. საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, მათ შორის DCFTA-ის III-A დანართში მითითებული	საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული	სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულებები სტანდარტების მიღების თაობაზე;	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიი		საანგარიშო პერიოდში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 674 სტანდარტი, მათ შორის: 651-ევროპული; 23-საერთაშორისო.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
სექტორული დირექტივების ჰარმონიზებული სტანდარტების, საქართველოს სტანდარტებად მიღება/განახლება	და/ან საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა	საქართველოს სტანდარტების ელექტრონული პლატფორმა: sst.geostm.gov.ge	ს ეროვნული სააგენტო		
3.1.2. „სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, მეტროლოგიის და ბაზარზე ზედამხედველობის სფეროებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სტრატეგიის“ შემუშავება	მიღებული სტრატეგია	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მომზადებულია სტრატეგიის პროექტის პირველადი ტექსტი. მიმდინარეობს შიდა განხილვები.
3.1.3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის N476 დადგენილებით დამტკიცებულ „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში ცვლილებების განხორციელება ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2011 წლის 9	მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილების ცვლილება	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.Matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	საქართველოს მთავრობის 2026 წლის 8 აპრილის N155 დადგენილებით ცვლილება შევიდა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში. განხორციელებული ცვლილების ფარგლებში, საზედამხედველო სფეროს დაემატა ახალი 125 სამშენებლო პროდუქტი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მარტის N305/2011 რეგულაციასთან შემდგომი დაახლოების მიზნით, რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქტის ბაზარზე განთავსების ჰარმონიზებულ პირობებს და აუქმებს საბჭოს 89/106/EEC დირექტივას.					
3.1.4. ტექნიკური რეგლამენტის მომზადება ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ წევრი ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე 2014 წლის 26 თებერვლის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2014/30/EU დირექტივის მიხედვით	მიღებული ტექნიკური რეგლამენტი	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „მოწყობილობების ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.“ შესაბამის უწყებებთან კონსულტაციების დასრულების შემდეგ, რეგლამენტის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.
3.1.5. სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/745/EU და ინვიტრო	მიღებული საკანონმდებლო აქტი	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართვე ლოს ოკუპირებ ული ტერიტორიები დან დევნილთა, შრომის,	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2017/745/EU და 2017/746/EU რეგულაციებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულია „სამედიცინო მოწყობილობების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
დიაგნოსტიკური სამედიცინო მოწყობილობების შესახებ 2017 წლის 5 აპრილის ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2017/746/EU რეგულაციებთან დაახლოება			ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
ამოცანა 3.2.	**ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასებისა და ბაზრის ზედამხედველობის ადმინისტრირებისათვის საჭირო ინსტიტუციური და ინფრასტრუქტურული განვითარება**				
3.2.1. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს არსებული სტატუსის გაუმჯობესება/ამაღლება სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში CEN/CENELEC და შესაბამისი აქტივობების გახორციელება	ევროპული სტანდარტები სრულად მიღებულია საქართველოს სტანდარტად, შენარჩუნებულია 100%-იანი ჰარმონიზაციის მაჩვენებელი CEN/CENELEC სრული წევრობის სტატუსის მიღებისათვის საჭირო სამუშაოების დაწყება	CEN/CENELEC-ის ანგარიში; საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სტანდარტიზაციის ევროპულ ორგანიზაციებში (CEN/CENELEC) გაწევრიანებისათვის დადგენილი კრიტერიუმების (CEN-CENELEC Guide 22 „Guide on the organizational structure and processes for the assessment of the membership criteria of CEN and CENELEC“ edition 5, 2021-12) შესრულებისათვის სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში ხარიხის მენეჯმენტის (ენ ისო 9001:2015) სისტემის მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმილია განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასებისათვის შიდა (თვითშეფასების) აქტივობების განხორციელება. ეს აქტივობები მიზნად ისახავს განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისობის შეფასებას ხარისხის მართვის სისტემის (EN ISO 9001:2015) მოთხოვნების შესაბამისად. სტანდარტების დეპარტამენტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემამ (QMS) წარმატებით გაიარა გარე საკონტროლო აუდიტი, რომელიც ჩატარდა 11

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ივნისს, 2026 იტალიური მასერტიფიცირებელი ორგანოს (ITA) მიერ. სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN-CENELEC) 2026 წლის მეორე კვარტლის ანგარიშის მიხედვით, ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს სტანდარტების ჰარმონიზაციის მაჩვენებელი 94.92%-ია.
3.2.2. პრიორიტეტული მიმართულებებით ეტალონური ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლების პროცესის გაგრძელება გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების მიზნით	შეთავაზებული სერვისების გაზრდილი რაოდენობა და დიაპაზონი	გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატების რაოდენობა; სააგენტოს წლიური ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		2026 წლის მარტში დასრულდა რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების წყაროების საცავის სარემონტო სამუშაოები. 2026 წლის 6 თვის მდგომარეობით მეტროლოგიის ინსტიტუტისთვის შესყიდულია ეტალონური მულტიმეტრი (მოწოდება განხორციელდება აგვისტოს თვეში), დიფერენციალური ციფრული მანომეტრი - 2ც, ციფრული ბარომეტრი -1ც, ციფრული დინამომეტრის (FH 200kN)-ის მაკომპლექტებელი დეტალები.
3.2.3. მეტროლოგის სფეროში პრიორიტეტული ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების და/ან ახალი მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება	სააგენტოს აღიარებული დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების რაოდენობა	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა www.bipm.org	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		განისაზღვრა ხელსაწყოებისა და ეროვნული ეტალონების სია, რომელთა დაკალიბრება მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება ევროპული ქვეყნების მეტროლოგიის ინსტიტუტებში. მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები იტალიის, ჩეხეთის, პოლონეთის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებთან. მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური ლაბორატორია მონაწილეობს EURAMET – ის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					შედარებაში ,,მინის მოცულობითი კოლბის კალიბრაცია 500 მლ და 5000 მლ. დაწყებულია EURAMET-ის დამატებითი შედარებების მოსამზადებელი სამუშაოები (სტატუსი - ტექნიკური პროტოკოლი მომზადება/ორგანიზება) ციფრული მულტიმეტრების დაკალიბრების მიმართულებით Digital Multimeters (DCV, ACV, DCR, ACI, DCI). დაწყებულია საკვანძო შედარებების მოსამზადებელი სამუშაოები EURAMET.EM-K14 100 კვ-მდე ძაბვის გარდაქმნის კოეფიციენტის და ფაზური კუთხის შედარებებში (სტატუსი: ტექნიკური პროტოკოლის მომზადება და ორგანიზება). 2026 წლის 14-16 აპრილს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო შეუერთდა EURAMET-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ლაბორატორიათშორის შედარებას N 1792. შედარებაში მონაწილეობის მიზანია მოცულობაში CMC ჩანაწერების მიღება 20 ლიტრამდე. გაზომვები ჩატარდება სანიმუშო საწყაოებზე 5 ლ და 20 ლ.
3.2.4. მეტროლოგიის სფეროში ახალი მიმართულებით სტანდარტული ნიმუშების წარმოების აღიარება ISO 17034:2016 შესაბამისად	სტანდარტული ნიმუშების წარმოების სფეროში მიღებული აღიარება	ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზა www.bipm.org	სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო		სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშების გამოყენებით სტაბილურობის განსაზღვრა ხორციელდება ხარისხის დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად. 3.2.4 პუნქტში განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მოითხოვს დონორების მხარდაჭერას.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.2.5. აკრედიტაციის ცენტრის სერვისების გაციფრულების პროგრამის შემდგომი განვითარება	უზრუნველყოფილია აკრედიტაციის დოკუმენტების სრული ელექტრონული მიკვლევადობა აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული განახლებული აკრედიტაციის მოწმობები, რომლებზეც დატანილია შესაბამისი მიკვლევადობის QR კოდი	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში: www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი		ამ ეტაპზე მიმდინარეობს გაციფრულების პროგრამის განახლება სერვერულ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული მოდიფიკაციებისა და ტექნიკური განახლებების შესაბამისად. პროგრამის რეალურ რეჟიმში ამოქმედებამდე დაგეგმილია დამატებითი ტრენინგების ჩატარება აკრედიტაციის ცენტრის თანამშრომლებისთვის, რის შემდეგაც სისტემა სრულად გადავა ოპერირების რეალურ რეჟიმზე. მომავალ წლებში დაგეგმილია აღნიშნულ პროგრამაში ხელოვნური ინტელექტის კომპონენტის ინტეგრირება და მისი შემდგომი განვითარება/გაუმჯობესება, რისთვისაც საჭირო იქნება დონორის მხარდაჭერა. შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, შემუშავდა და სატესტო რეჟიმში დაინერგა შეფასების პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერის პროცედურა, რაც საშუალებას იძლევა სურვილის შემთხვევაში კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს შეფასების პროცესი. მექანიზმის გამოყენებას შეფასების დროს სჭირდება შესაფასებელი ორგანიზაციის წერილობითი თანხმობა. ხოლო მონაცემების შენახვის და განადგურების პირობები გაწერილია შესაბამის დოკუმენტებში. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციის სფეროს

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სახელმძღვანელო დოკუმენტები (გზამკვლევი), რაც ხელს უწყობს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებას ევროპული სტანდარტების შესაბამისად.
3.2.6 ევროკავშირის რეგულაციების CBAM (ნახშირბადის სასაზღვრო რეგულირების მექანიზმი) და EU ETS-ის (ემისიების სავაჭრო სისტემა) შესაბამისად აკრედიტაციის სქემის შექმნა.	საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17029 სტანდარტის შესაბამისად ვალიდაცია/ვერიფიკაციის სქემა დამტკიცებულია.	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში: www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ვალიდაციისა და ვერიფიკაციის სქემის შემუშავების მიზნით მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პროექტი, ასევე შემუშავდა ახალი დოკუმენტები, მათ შორის — აკრედიტაციის წესები და პროცედურები იმ ორგანოებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის საქმიანობას. დამატებით, შემუშავდა ვალიდაციის/ვერიფიკაციის სქემა. აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტაციას იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ვალიდაციისა და ვერიფიკაციის სფეროში აკრედიტაციის მიღებით. ამ ეტაპზე დოკუმენტები გადაგზავნილია ექსპერტებთან რეკომენდაციებისა და შეფასების მისაღებად, რის შემდეგაც განხორციელდება მათი საბოლოო დამტკიცება.
3.2.7. ევროკავშირის აკრედიტაციის ორგანიზაციის (EA) მიერ საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მორიგი შეფასება ევროპული და საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისათვის	ევროკავშირის აკრედიტაციის ორგანიზაციის (EA) მიერ საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის	ევროკავშირის აკრედიტაციის ორგანიზაციის ვებ-გვერდი: https://european-accreditation.org/ აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდი: www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შეფასება განხორციელდება 2026 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ხოლო შედეგები გამოცხადდება 2027 წლის პირველ კვარტალში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	შეფასების ჯგუფის ფორმირება და შეფასების განხორციელება				
ამოცანა 3.3.	**დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ეკონომიკური ოპერატორების მომზადებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა დაახლოებული კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის**				
3.3.1. დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის შეხვედრების/სემინარების ორგანიზება	ჩატარებული შეხვედრების/ სემინარების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ საქართველოს სტანდარტების ა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	**სტანდარტები და მეტროლოგია:** 2026 წლის 23-27 თებერვალს, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებში - „ხარისხის ინფრასტრუქტურის (QI) კვირეული სამშენებლო მასალების სექტორისათვის“, რომლის ფარგლებში დაინტერსებული პირებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრები თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში. 2026 წლის 27 თებერვალს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში PTB-ის მხარდაჭერით ჩატარდა „ღია კარის დღე“, რომლის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები სტუდენტებთან, მეწარმეებთან და ტექნიკური კომიტეტების თავმჯდომარეებთან. 2026 წლის 1 – 5 ივნისს, თბილისში გაიმართა EURAMET-ის მე–20 გენერალური ასამბლეა. ასამბლეაში მონაწილეობას მიიღო სხვადასხვა ქვეყნისა და ორგანიზაციის 110 დელეგატმა. 2026 წლის 18 ივნისს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გამართულ შეხვედრაში „ქართული სამშენებლო მასალების სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარებითა და აკადემიურ წრეებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გზით“, ორგანიზატორი გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB). აკრედიტებული საკალიბრო ლაბორატორიებისათვის გეომეტრიული გაზომვების მიმართულებით მეტროლოგიური და ტექნიკური კომპეტენტურობის დადასტურების მიზნით, მეტროლოგიის ინსტიტუტის გეომეტრიული გაზომვების ეტალონური სამმართველოს მიერ განხორციელდა ლაბორატორიათაშორისი შედარებები. მიმდინარეობს ლაბორატორიათაშორისი შედარებები ელექტრული წინაღობის ზომის (10 ომი) გაზომვებში (მონაწილეობს ერთი აკრედიტირებული ლაბორატორია) და , ელექტრული წინაღობის ზომის (10 ომი) გაზომვებში (მონაწილეობს ერთი აკრედიტირებული ლაბორატორია) . დაინტერსებული პირებისათვის მეტროლოგიის სფეროში ჩატარდა სწავლება ,,სასწორების სწორი ექსპლუატაცია საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიებში, დაკალიბრების ძირითადი პრინციპები და ხარისხის უზრუნველყოფა“ (მონაწილეთა რაოდენობა 14). **ბაზარზე ზედამხედველობა**:

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ორგანიზებით შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან ჩატარდა ხუთი საინფორმაციო შეხვედრა „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 144 ეკონომიკურმა ოპერატორმა. **აკრედიტაცია:** საჭიროებს დამატებით დონორულ დახმარებას.
3.3.2. აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებისთვის ტრენინგების ორგანიზება მათ საქმიანობასთან დაკავშირებული სტანდარტების სფეროში	ორგანიზებული ტრენინგების რაოდენობა	აკრედიტაციის ცენტრის წლიური ანგარიში; www.gac.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მიმდინარე წლის მაისში, ორ ეტაპად (5–6 მაისსა და 28–29 მაისს), ჩატარდა ტრენინგების სერია თემაზე: „სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 – ზოგადი მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების კომპეტენტურობის მიმართ“, რომელიც მიზნად ისახავდა ლაბორატორიების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.
3.3.3. EA-ს კომიტეტების/სამუშაო შეხვედრების ორგანიზება საქართველოში	განხორციელებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში www.gac.gov.ge; DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2026 წლის 24-26 მარტს თბილისში გაიმართა EA-ს ლაბორატორიული კომიტეტის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ევროპის სხვადასხვა აკრედიტირებული ორგანიზაციებიდან 60-მდე წარმომადგენელი.
ამოცანა 3.4.	**შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება**				
3.4.1. ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში	ჩატარებული სემინარების/	DCFTA განხორციელების ანგარიში	სსიპ საქართველოს სტანდარტების	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	**სტანდარტები და მეტროლოგია:**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება	ტრეინინგების რაოდენობა	www.DCFTA.gov.ge	ა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;	განვითარების სამინისტრო	2026 წლის 17-19 თებერვალს, მოლდოვაში, ქალაქ კიშინოვში, PTB პროექტის ფარგლებში გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული სემინარი თემაზე: „ხარისხის სტანდარტები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ვაჭრობის ზრდისთვის“, რომელშიც მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. სემინარი ეხებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონული დაგეგმვის საკითხებს მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სფეროში. • 2026 წლის 19 თებერვალს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ონლაინ შეხვედრაში - Online Technical Exchange – Comparison, რომელიც ეხებოდა BIPM-ის KCDB 2.0 პლატფორმის გამოყენებას საერთაშორისო შედარებების პროცესში. • 2026 წლის 19 თებერვალს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ შეხვედრაში, KCDB 2.0 - Online technical exchanges - COMPARISONS, რომელიც ორგანიზებული იყო BIPM-ის მიერ. • 2026 წლის 4 მარტს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო CCRI-ის მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე „რადიაციული დაცვის დოზიმეტრიული სიდიდეების ოპტიმიზაცია''. • 2026 წლის 24-26 მარტს მეტროლოგიის ინსტიტუტის წამომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის TC-IR შეხვედრაში (Ionising Radiation Meeting), რომელიც გაიმართა ნიდერლანდებში, ქალაქ დელფიში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					2026 წლის 14 – 16 აპრილს მეტროლოგიის ინსტიტუტის წამომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის TC-T (ტემპერატურისა და ტენიანობის) შეხვედრაში, რომელიც გაიმართა ავსტრიაში, ქალაქ ვენაში. 2026 წლის 15 – 17 აპრილს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ონლაინ მონაწილეობა მიიღო CCRI ვებინარი- რადიაციული დაცვის დოზიმეტრიის უახლესი მიღწევები და CCM სტრატეგია. 2026 წლის 14-16 აპრილს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელებმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის TC-Flow შეხვედრაში. 2026 წლის 4 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წამომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ შეხვედრაში CaBuCo - პროექტის საინფორმაციო სერია, რომელიც გაიმართა EURAMET-ის ინიციატივით. 2026 წლის 14 – 16 მაისს PTB-ის ორგანიზებით პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა ტრენინგი - სანიმუშო საწყაოების დაკალიბრება. ტრეინინგში მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. 2026 წლის 19-22 მაისი სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ სემინარში (workshop) „Regional Planning Workshop on Standardisation“, რომელიც PTB-ის ორგანიზებით, გაიმართა ქ. ერევანში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					2026 წლის 28 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წამომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვებინარში: რენტგენის დოზიმეტრიის მიღწევები: რენტგენის მულტიმეტრების დაკალიბრება. 2026 წლის 29 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წამომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ტექნიკური ქვეკომიტეტის TCEM SC Power and energy შეხვედრაში. 2026 წლის 25 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შპს ენერჯი სერვისის და კომპანია Honeywell-ის მიერ გამართულ ღონისძიებას თემაზე "სმარტ მრიცხველები: ტექნიკური მახასიათებლები და გამოყენების სფეროები"-ს შესახებ. 2026 წლის 29-30 მაისს, სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გაეროს ინდუსტრიის განვითარების ორგანიზაციისა და შვეიცარიის კონფედერაციის პროექტის (GQSP) ფარგლებში გამართულ შეხვედრა თემაზე: საქართველოში პესტიციდების მართვის გაუმჯობესება ხილისა და ბოსტნეულის ღირებულებათა ჯაჭვში“, რომელიც გაიმართა სასტუმრო „არტიზანი“, ქ. თბილისი. 2026 წლის 2 ივნისს BIPM ორგანიზებით ჩატარდა სემინარი: KCDB 2.0 - ტექნიკური ინფორმაციის ონლაინ გაცვლა - CMC-ის ავტორები და რეცენზენტები (Online technical exchanges - CMC

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					Writers and Reviewers). სემინარს ესწრებოდნენ მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები. 2026 წლის 17-19 ივნისს, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN-CENELEC) გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა კვიპროსში. 2026 წლის 25 ივნისს, სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლმა მონაწილეობა მიიღო მე-6 საერთაშორისო კონფერენციაში „ტურიზმი და განათლება“ (სასტუმრო „ტელეგრაფში“), ორგანიზატორი საქართველოს ტურიზმის ასოციაცია (GTA). **აკრედიტაცია:** 1. პირველ კვარტალში აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორს მოადგილემ, გიორგი ჩიტაძემ, ჩაატარა ტრენინგი თემაზე: ,,სსტ ისო/იეკ 17011 შესაბამისობის შეფასება — მოთხოვნები აკრედიტაციის ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციას“ და ხარისხის ინფრასტრუქტურა. 2. 23 თებერვალს PTB-ის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა სათბური აირების ვალიდაცია/ვერიფიკაციის სქემების დანერგვის გარშემო.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					3. 2026 წლის 15 ივნისს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა აკრედიტაციის მმართველი კომიტეტის პირველი შეხვედრა, რომელიც ჩამოყალიბდა გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (PTB) რეგიონული პროექტის „Quality Standards for Increased Trade in the Eastern Partnership Countries“ ფარგლებში. პროექტის განხორციელებაში ჩართულები არიან საქართველოს, მოლდოვის, უკრაინის და სომხეთის აკრედიტაციის ორგანიზაციები.
3.4.2 სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ხარისხის ინფრასტრუქტურის შესახებ ცნობადობის გაზრდა	ჩატარებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა;	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი; სსიპ საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;		საჭიროებს დამატებით დონორულ დახმარებას
ამოცანა 3.5.	**DCFTA-ის ვალდებულებების შესაბამისად ბაზარზე ზედამხედველობის აღსრულება**				

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
3.5.1. სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საზედამხედველო სფეროებში ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება რისკის ანალიზის საფუძველზე და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა ახლად დაახლოებულ სფეროებთან დაკავშირებით	განხორციელებული შემოწმებების (დოკუმენტური და ტექნიკური) რაოდენობა	უწყების წლიური ანგარიში	სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო		ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 328 სამშენებლო და ინდუსტრიული პროდუქტი, საიდანაც 37 პროდუქტი შემოწმდა ტექნიკურად; ადგილობრივ ბაზარზე შემოწმდა ბაზარზე განთავსებული 301 სამომხმარებლო პროდუქტი, საიდანაც 170 პროდუქტი შემოწმდა ტექნიკურად; • განხილული იქნა 9 214 იმპორტის წინასწარი შეტყობინება; • გადამოწმდა შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გამოცემული 68 დადგენილება; • სახდელის დაკისრების თაობაზე გამოიცა 85 დადგენილება; • შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გამოიცა 67 დადგენილება;
მიზანი 4.	**სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ზომებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობა და ადამიანების, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა**				
ამოცანა 4.1.	**სანიტარული და ფიტოსანიტარული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების გაუმჯობესება**				
4.1.1. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართის შესაბამისად	ასოცირების შესახებ შეთანხმების XI-B დანართში მითითებულ ევროკავშირის 19 (სურსათის უვნებლობა - 9, ვეტერინარია -	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;	**სურსათის უვნებლობა:** 1. 2003 წლის 11 აგვისტოს კომისიის 2003/598/EC რეკომენდაციის - „ვაშლის წვენში და სხვა ვაშლის წვენის შემცველ სასმელებში პატულინის მინარევის აღკვეთისა და შემცირების თაობაზე“- შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 21 აპრილის N2-140 ბრძანებით დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითებები „ვაშლის წვენსა და სხვა სასმელებში ვაშლის წვენის ინგრედიენტად გამოყენებისას პატულინით დაბინძურების პრევენციისა და

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	3, მცენარეთა დაცვა - 7) საკანონმდებლო აქტთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობა				შემცირების შესახებ“. 2. 1999 წლის 22 თებერვლის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999/2/EC დირექტივის - „მაიონიზებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და საკვები ინგრედიენტების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის დაახლოების თაობაზე“ და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 22 თებერვლის 1999/3/EC დირექტივის „მაიონიზებელი გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და საკვები ინგრედიენტების ერთიანი სიის დადგენის თაობაზე“. მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი -„ტექნიკური რეგლამენტი -„მაიონებელი (მაიონიზებელი) გამოსხივებით დამუშავებული სურსათისა და სურსათის ინგრედიენტების შესახებ“. პროექტი გადის დამტკიცებისთვის საჭირო შიდა პროცედურებს. 3. 2009 წლის 29 მაისის კომისიის (EC) №450/2009 რეგულაციის სურსათთან შეხებაში მყოფი აქტიური და „გონიერი“ მასალებისა და ნივთების თაობაზე“ შესაბამისად მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი - „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი აქტიური და „გონიერი“ მასალებისა და საგნების შესახებ.“ პროექტი გადის დამტკიცებისთვის საჭირო შიდა პროცედურებს. 4. 2022 წლის 15 სექტემბრის კომისიის რეგულაცია (EU) 2022/1616 სურსათთან შეხებაში მყოფი

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გადამუშავებული პლასტმასის მასალებისა და საგნების თაობაზე და რეგულაციის (EC) No 282/2008 გაუქმების შესახებ - მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა. 5. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №304 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტის – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე) საფუძველზე „ჩინური წარმოშობის ან ჩინეთიდან გამოგზავნილი პოლიამიდის და მელამინის პლასტმასის ჭურჭლის იმპორტის სპეციალური პირობებისა და დეტალური პროცედურების თაობაზე" 2011 წლის 22 მარტის კომისიის (EU) №284/2011 რეგულაცია საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულება ჩაითვალა შესრულებულად. **დინამიურობა:** - ევროკავშირის რეგულაციის (EC) No 853/2004 შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის დადგენილებაში №90 „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ"- მომზადდა ცვლილებების პროექტი. - 2009 წლის 22 დეკემბრის კომისიის რეგულაცია (EU) No 37/2010 ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრული შემცველობის მიხედვით მათი კლასიფიკაციის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					შესახებ შესაბამისად „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის №639 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მიმდნარეობს შესაბამის პროექტზე მუშაობა. **მცენარეთა დაცვა:** 2004 წლის 17 მარტის კომისიის 2004/266/EC გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც იძლევა საკვები მცენარეების თესლის შეფუთვებზე ინსტრუქციების წაუშლელი წარწერით განთავსების უფლებას - საქართველოს მთავრობის 2026 წლის 5 ივნისის N247 დადგენილებით დამტკიცდა „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილებაში ცვლილება. ამასთან, მცენარეთა დაცვის მიმართულებით ევროკავშირის შესაბამის აქტებთან დაახლოების მიზნით შემუშავდა 5 საკანონმდებლო ნორმატიული აქტის პროექტი. **ვეტერინარია:** - EU №2019/6 რეგულაცია ვეტერინარული სამკურნალო პროდუქტების შესახებ, რომელიც

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					აუქმებს №2001/82/EC დირექტივას, საფუძველზე მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ვეტერინარული პრეპარატების წესების დამტკიცების შესახებ“
ამოცანა 4.2.	**ბიზნეს წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში, მომხმარებლებისა და უფლებების მფლობელთა ცნობიერების გაზრდა**				
4.2.1. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული ქართული კანონმდებლობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის გაზრდა და მეწარმეთა ხელშეწყობა ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში	ჩატარებული მინიმუმ 5 ტრენინგი/ საინფორმაციო შეხვედრა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	1. მარტში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, თემაზე — “საკანონმდებლო ცვლილებები და მათი განხორციელების ღონისძიებები”: • მეფუტკრეობის პირველადი წარმოების ბიზნესოპერატორებთან და შესაბამისი ასოციაციის ჩართულობით ჩატარებულ შეხვედრას დაესწრო 25 წარმომადგენელი. • მეცხოველეობის სექტორში გამართულ შეხვედრას, ასოციაციების მონაწილეობით, დაესწრო 32 წარმომადგენელი. • აკვაკულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებულ შეხვედრას დაესწრო 27 პირი. • ვეტერინარული დაწესებულებების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრას დაესწრო 70 ბიზნესოპერატორი. 2. 19 მარტს ზოომაღაზიების და ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ბიზნესოპერატორებთან გაიმართა შეხვედრა. ესწრებოდა 25 ბიზნესოპერატორი. 3. 14 იანვარს ქ. თბილისში შედგა რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან სამუშაო შეხვედრა რძის სექტორში არსებული გამოწვევების და სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით (დაესწრო 25 ბიზნესოპერატორი).

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					4. 10 თებერვალს ქ. თბილისში შედგა შეხვედრა აგრარული ბაზრების მფლობელ ბიზნესოპერატორებთან თემაზე: „საკანონმდებლო მოთხოვნები სურსათის უვნებლობის სფეროში“ (დაესწრო 11 ბიზნესოპერატორი). 5. 16 თებერვალს ქ. თბილისში შედგა რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან სამუშაო შეხვედრა ,,რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში'' შეტანილი ცვლილებების გაცნობის მიზნით (დაესწრო 24 ბიზნესოპერატორი). 6. 20 მარტს ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „საკანონმდებლო მოთხოვნები რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცველი პროდუქტების მიმართ“(დაესწრო 5 ბიზნესოპერატორი). 7. 26 მარტი ქ. თბილისში შედგა ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან სამუშაო შეხვედრა თემაზე: ,,ხორცპროდუქტების ეტიკეტირება'' (დაესწრო 12 ბიზნესოპერატორი). 8. 27 მარტს ქ. ახმეტაში გაიმართა სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „სურსათის უვნებლობის რეგულირების პრინციპები; საქართველოში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სარგებლობის უფლების მქონე სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორთა მიმართ მოთხოვნები; ბიოწარმოების მიმართ მოთხოვნები'' (დაესწრო 15 ბიზნესოპერატორი). 9. 15 იანვარს საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით გაიმართა შეხვედრა

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბიზნეს ასოციაციასთან. ესწრებოდა ასოციაციის 3 წარმომადგენელი. 10. 25 თებერვალს საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით გაიმართა შეხვედრა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებლებთან, დისტრიბუტორებთან და მაღაზიათა ქსელის მფლობელებთან. ესწრებოდა 15 წარმომადგენელი. 11. 8 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ნედლი რძის წარმოებისა და გადამუშავების წახალისების მიზნით დაგეგმილი ცვლილებები“, რომელსაც დაესწრო 24 ბიზნესოპერატორი, 2 სხვა უწყების წარმომადგენელი და 3 უფლებამოსილი პირი. 12. „სურსათის უვნებლობის გაძლიერება აკვაკულტურის ინდუსტრიაში“ ENPARD IV-ის ფარგლებში - 2026 წლის 20-24 აპრილს ქ. გორში გაიმართა შეხვედრა აკვაკულტურის წარმოებაში სურსათის უვნებლობის, ბიოუსაფრთხოების გაძლიერება. შეხვედრას დაესწრო 20 ფერმერი, თევზმომშენებელთა ასოციაცია და შიდა ქართლის რეგიონალური ინსპექტორები. 13. 29 აპრილს ჩატარდა სურსათის დანაკარგების და ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობის თაობაზე შეხვედრას ესწრებოდა 10 ბიზნესოპერატორი. 14. 1 მაისს ჩატარდა ტრანსცხიმების ელიმინაციის საგზაო რუკის შემუშავებასთან დაკავშირებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 8 ბიზნესოპერატორი.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					15. 5 მაისს ქ. თბილისში ხორცპროდუქტების სექტორის წარმომადგენლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „ხორცის გარკვეული კატეგორიის პროდუქტების რეგულირებისა და კონტროლის მხრივ დაგეგმილი ღონისძიებები და საკანონმდებლო ცვლილებები“, რომელსაც დაესწრო 13 ბიზნესოპერატორი. 16. 15 მაისს ქ. თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ ტექნიკურ რეგლამენტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა“, რომელსაც დაესწრო 16 ბიზნესოპერატორი და 2 სხვა უწყების წარმომადგენელი. 17. მაისი-ივნისში ქ. თბილისში, ქუთაისში, გურჯაანში, გორსა და ბათუმში ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან ჩატარდა 5 ტრენინგი თემაზე: „ხორცი და ხორცპროდუქტები“ (დაესწრო 61 ბიზნესოპერატორი). 18. მაისი-ივნისში ქ. თბილისში, ქუთაისში, გურჯაანსა და ბათუმში რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესოპერატორებთან ჩატარდა 4 ტრენინგი თემაზე: „რძე და რძის პროდუქტები“ (დაესწრო 40 ბიზნესოპერატორი). 19. ივნისში ქ. გორსა და ქ. თბილისში ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოების ბიზნესოპერატორებთან ჩატარდა 2 ტრენინგი თემაზე: „ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები“ (დაესწრო 15 ბიზნესოპერატორი).

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					20. 5 ივნისს ჩატარდა შეხვედრა დისტანციური პლატფორმის საშუალებით მოვაჭრე სურსათის ბიზნესოპერატორებთან სურსათის რეგულირების პრინციპების გაზიარების მიზნით, შეხვედრას ესწრებოდა 17 ბიზნესოპერატორი. 21. 18 და 19 ივნისს ქ. თბილისში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა ნედლი რძის წარმოებისა და გადამუშავების წახალისების კონცეფციის ფარგლებში სარეალიზაციო ქსელებისა და რძისა და რძის პროდუქტების იმპორტიორების წარმომადგენლებთან, რომელსაც ჯამში დაესწრო 32 ბიზნესოპერატორი. 22. 23 ივნისს ქ. თბილისში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: „ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის საკითხები“, რომელსაც დაესწრო 35 ბიზნესოპერატორი. 23. სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მცენარეთა დაცვის სპეციალისტების მიერ მომზადდა პესტიციდების პროფესიულ მომხმარებლების სერტიფიცირების სახელმძღვანელო და როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული მასშტაბით დაწყებულია საინფორმაციო კამპანიის წარმოება; 24. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პესტიციდების სფეროში მომუშავე, დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ასამაღლებლად ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პესტიციდების რეზისტენტობის მიხედვით კლასიფიკაციის პრინციპების გაცნობის თემაზე.
ამოცანა 4.3.	**კომპეტენტური ორგანოს შესაძლებლობებისა და უნარების გაუმჯობესება**				

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
4.3.1. სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალისტების გადამზადება, კონკრეტულ პროცედურულ საკითხზე სახელმძღვანელოს შემუშავება	ჩატარებული ტრენინგების, მასში მონაწილე სპეციალისტების რაოდენობა. მიღებული პროცედურული სახელმძღვანელო	უწყების წლიური ანგარიში www.rs.ge	შემოსავლების სამსახური	საქართველოს გარემო ს დაცვის ა და სოფლი ს მეურნე ობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	1. სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული რისკის ანალიზის საკოორდინაციო პლატფორმის ფარგლებში განხილული იქნა ერთიანი ჯანმრთელობის (One Health) პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის კონცეფცია (შედგა 3 შეხვედრა, მონაწილეობდნენ პლატფორმაში ჩართული უწყებები.) 2. 21 მაისს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი - TRACES-ის გამოყენება მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ფიტოსანიტარიული და უვნებლობის სერტიფიკატების გაცემის მიზნით, ტრენინგი ჩატარდა Fit For Market Plus პროგრამის მხარდაჭერით (COLEAD), OACPS-სა და ევროკავშირს შორის განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში. მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 8 თანამშრომელმა.
4.3.2. შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლების ტრენინგი კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელებაში	ჩატარებულია მინიმუმ 30 ტრენინგი/სწავლება ან/და სხვა ღონისძიება	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ - შემოსავლების სამსახური	1. 2026 წლის მარტში ჩატარდა ტრენინგი: ახალციხის და ქუთაისის ზონალური ლაბორატორიების შესაძლებლობების გაფართოება - დასავლეთ ნილოსის ცხელების სეროლოგიური მეთოდების დანერგვა; 2. რეგიონალური დეპარტამენტის უფლებამოსილ პირებთან (ინსპექტორები) გაიმართა შეხვედრა - საკანონმდებლო ცვლილებები და მათი აღსრულების პროცედურები-ესწრებოდა 20 ინსპექტორი; 3. სურსათის ეროვნულ სააგენტოში არსებული რისკის ანალიზის საკოორდინაციო პლატფორმის ფარგლებში განხილული იქნა ერთიანი

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ჯანმრთელობის (One Health) პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის კონცეფცია (შედგა 3 შეხვედრა, მონაწილეობდა პლატფორმაში ჩართული უწყებები, 24 სეს უფლებამოსილი პირი მონაწილეობდა). 4. თბილისის დეპარტემენტის უფლებამოსილ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ხარისხის ამაღლება“ (18 უფლებამოსილი პირი). 5. ცხოველთა სასაკლაოებში დასაქმებულ ვეტერინარ ექიმებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „ცხოველთა სასაკლაოებში წარმოების პროცესის ჰიგიენური მაჩვენებლების კონტროლის მიზნით 581-დადგენილების მიხედვით აღებული ნიმუშების შედეგების სააღრიცხვო ფორმების წარმოება და ანგარიშის მიწოდება სურსათის დეპარტამენტში “(16 უფლებამოსილი პირი). 6. ENPARD IV-ის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები: • 25-31 იანვარს ქ. თბილისში გაიმართა შეხვედრა ფიტოსანიტარიის სისტემის შეფასების შესახებ (დაესწრო 30 ფიტოსანიტარი). • 28 იანვარს გაიმართა ონლაინ ტრენინგი პესტიციდების მდგრადი გამოყენების შესახებ (დაესწრო მცენარეთა დაცვის 10 სპეციალისტი) • 11-12 მარტს გაიმართა ჩატარდა ონლაინ ტრენინგი პესტიციდების შემასხურებელი აპარატურის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					დაკალიბრების შესახებ (დაესწრო 8 ფიტოსანიტარი სპეციალისტი) • 16 მარტს თბილისში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა საქართველოში მცენარეთა სიჯანსაღის მდგომარეობის შეფასებას (დაესწრო ფიტოსანიტარიის 15 სპეციალისტი). • 20 მარტს გაიმართა ონლაინ შეხვედრა აგროქიმიკატების რეგისტრაციის საკითხებზე ევროკავშირის კანონმდებლობის გაცნობის მიზნით (დაესწრო მცენარეთა დაცვის 12 სპეციალისტი). 7. მეორე კვარტალში ჩატარდა 6 შეხვედრა რომლებიც შეეხებოდა ფიტოსანიტარიული სისტემის შეფასებას, პესტიციდების მდგრად გამოყენებას, პირველადი წარმოების კონტროლს, და ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერებას. შეხვედრებს დაესწრო NFA-ის 10 თანამშრომელი. 8. აპრილი-ივნისში უფლებამოსილ პირებს ჩაუტარდათ 7 ტრენინგი თემაზე: „საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილების – „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით ბიზნესოპერატორის მიერ მიკრობიოლოგიური კვლევის ნიმუშების აღება“, რომელსაც ჯამში დაესწრო 167 NFA-ის უფლებამოსილი პირი. 9. 6 მაისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა რისკის მინიმიზირების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					რომელსაც დაესწრო 11 სხვა უწყების წარმომადგენელი და NFA-ის 10 უფლებამოსილი პირი. 10. 7-8 მაისს ჩატარდა სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო დეპარტამენტის ცხელი ხაზის (1501) ოპერატორების ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 21 სხვა უწყების წარმომადგენელი და NFA-ის 9 უფლებამოსილი პირი. 11. 22 მაისს გაიმართა საფრთხის წყაროს იდენტიფიცირების მულტიდისციპლინარული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 1 სხვა უწყების წარმომადგენელი და NFA-ის 10 უფლებამოსილი პირი. 12. მაისი-ივნისში ცხოველთა/ფრინველთა სასაკლაოებზე დასაქმებულ სახელმწიფო ვეტერინარებს ჩაუტარდათ 7 ტრენინგი თემაზე: „სასაკლაოებში HACCP სისტემის შესაბამისობის შემოწმების აქტის და შეუსაბამობის ოქმის შევსება; ვეტერინარული ზედამხედველობა და ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2-ის გაცემის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ FS-019, ვერსია 01)“, რომელსაც ჯამში დაესწრო NFA-ის 119 უფლებამოსილი პირი. 13. 23 ივნისს ჩატარდა შეხვედრა საქართველოს მთავრობის №124 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტის – მასალები და ნაკეთობები რეგენერირებული ცელულოზის ფირისაგან,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					რომლებიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის დამტკიცების თაობაზე“ შეხვედრას ესწრებოდა NFA-ის 41 სააგენტოს უფლებამოსილი პირი. 14. 26 ივნისს უფლებამოსილ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნაკეთობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები“, რომელსაც დაესწრო NFA-ის 33 უფლებამოსილი პირი. 15. 23-26 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა EPPO-ის მიერ ორგანიზებული შეხვედრა ფიტოსანიტარიულ რეგულაციებთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდა 20-მდე ქვეყნის მთავარი ფიტოსანიტარი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დარგობრივი დეპარტამენტების 10 თანამშრომელი.
4.3.3. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მიმართულებით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების დანერგვა ან/და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება	ლაბორატორიაში დანერგილი და/ან აკრედიტირებული კვლევის ახალი მეთოდების რაოდენობა, რომლებიც დაემატება ლაბორატორიული მომსახურების ჩამონათვალს	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა ახალი მეთოდები: 1. ციტრუსის კიბოს გამომწვევის - Xanthomonas citri pv aurantiifolia გამოვლენა, მორფოლოგიურ-ბიოქიმიური და PCR იდენტიფიკაცია; 2. ღვარძლის (Lolium temulentum L.) მორფოლოგიური რკვევა; 3. Globodera tabacum- ის მორფოლოგიურმორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია; 4. იფნის ზურმუხტისფერი პეწიანას Agrilus planipennis მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; 5. Heterodera filipjevi (მარცვლოვანი კულტურების ცისტიანი ნემატოდა) - ის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					მორფოლოგიურმორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია; 6. მუხის ხმობის გამომწვევი Ceratocystis fagacearum გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია; სურსათის კვლევის დეპარტამენტის მიერ დამუშავდა და დაინერგა შემდეგი ახალი მეთოდები: 1. ნიტროიმიდაზოლების ჯგუფის ნარჩენების განსაზღვრის მეთოდი თევზში სითხური ქრომატოგრაფი/მას-სპექტრომეტრის გამოყენებით. 2. ტეტრაციკლინების ჯგუფის ნარჩენების განსაზღვრის მეთოდი ხორცში და თევზში სითხური ქრომატოგრაფი/მას- სპექტრომეტრის გამოყენებით. 3. ნიტროიმიდაზოლების ჯგუფის ნარჩენების განსაზღვრის მეთოდი რძეში სითხური ქრომატოგრაფი/მას-სპექტრომეტრის გამოყენებით. 4. ტეტრაციკლინების ჯგუფის ნარჩენების განსაზღვრის მეთოდი რძეში სითხური ქრომატოგრაფი/მას-სპექტრომეტრის გამოყენებით. ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა შემდეგი კვლევები: 1. ცხენის და ვირის შრატში ცხენის აფრიკული ცხელების საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმომჩენი არაპირდაპირი ენზიმდაკავშირებული იმუნოფერმენტული ანალიზი (Ab ELISA) 2. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დიარეის (BVD), ლორწოვანი დაავადების (MD) და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვარი, თხა) საზღვრის დაავადების (BD) საწინააღმდეგო ანტისხეულების აღმოჩენა კონკურენტული ენზიმდაკავშირებული

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					იმუნოფერმენტული ანალიზის გამოყენებით (ELISA) რძის, შრატის, პლაზმის ერთეულ და ნაკრებ ნიმუშებში.
ამოცანა 4.4.	**სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის განხორციელება**				
4.4.1 სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელება	განხორციელებული სასაზღვრო სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული პროცედურების რაოდენობა	განხორციელებული პროცედურების შედეგები ასახულია კონტროლის აქტებში - შესაბამის პროგრამულ მოდულში	შემოსავლების სამსახური	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო	ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლი - 17626; ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლი - 10303; არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველთა საკვების კონტროლი - 2222.
მიზანი 5.	**საბაჟო სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება**				
ამოცანა 5.1.	**საქართველოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების (AEO) პროგრამის შემდგომი დაახლოება ევროკავშირის პროგრამასთან**				
5.1.1 AEO პროგრამის შესაძლებლობების განვითარება	AEO პროგრამის განვითარების მიზნით გაიმართა ტექნიკური მხარდაჭერის შეხვედრები	უწყების წლიური ანგარიში www.rs.ge	შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს დონორი ორგანიზაციების იდენტიფიცირება AEO პროგრამის შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული ტექნიკური დახმარების შეხვედრების ორგანიზების მიზნით. 25-26 ივნისის პერიოდში გაიმართა AEO პროგრამის შეფასებითი მისია თურქეთის რესპუბლიკის დელეგაციის მონაწილეობით.
ამოცანა 5.2.	**ახალი საბაჟო კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა**				
5.2.1 ახალი საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების (ზოგადი დეკლარაცია,	საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების	უწყების წლიური ანგარიში rs.ge	შემოსავლების სამსახური		მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. საინფორმაციო ტექნოლოგიების სიტემების შემუშავება მიმდინარეობს საბაჟო სამსახურის

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
გამარტივებული დეკლარაცია, პერიოდული დეკლარაცია და დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა) საიმპლემენტაციო დებულებების და შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სიტემების შემუშავება	(ზოგადი დეკლარაცია, გამარტივებული დეკლარაცია, პერიოდული დეკლარაცია და დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა) საიმპლემენტაციო დებულებები შემუშავებულია და მისი იმპლემენტაცია შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემებით დაწყებულია				ციფრული საბაჟო პლატფორმის ASY5-ის დანერგვის პროექტის ფარგლებში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
5.2.2 საქართველოს საბაჟო სამსახურის ციფრული საბაჟო პლატფორმის ASY5-ის დანერგვა	არსებული საბაჟო პროგრამის ASYCUDA ახალი საბაჟო პლატფორმით ASY5 ჩანაცვლებისთვის შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემუშავება	უწყების წლიური ანგარიში rs.ge	შემოსავლების სამსახური		აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საბაჟო სამსახურის ადმინისტრაციული და ოპერატიული შესაძლებლობების გასაძლიერებლად ძირითადი აქცენტით შესაბამისი IT სისტემების განახლებაზე. კერძოდ, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასთან (UNCTAD) ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში, შემოსავლების სამსახური ახორციელებს 18-თვიან პროექტს სახელწოდებით „საქართველოს საბაჟო სამსახურის ციფრული საბაჟო პლატფორმის დანერგვა“. პროექტი 2024 წლის ბოლოს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. პროექტის მიზანია თანამედროვე ვებ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ციფრული საბაჟო პლატფორმის შემუშავება, რომელიც თანდათანობით ჩაანაცვლებს საბაჟო მონაცემთა მართვის ავტომატიზირებული სისტემის ASYCUDA World-ს და უზრუნველყოფს საბაჟო პროცესების მოქნილობასა და ეფექტურობას. მოხდება შემდეგ მიმართულებების შემუშავება (პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ტესტირების პროცესი): • ეროვნული ავტორიზებული იმპორტის სისტემის (AIS) შემუშავება ტესტირების რეჟიმში • ეროვნული ექსპორტის სისტემის (AES) შემუშავება ტესტირების რეჟიმში • ეროვნული ტარიფებისა და დაბეგვრის მართვის სისტემის (TMS) შემუშავება ტესტირების რეჟიმში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					• ეროვნული რისკების მართვის სისტემის (RMS) შემუშავება ტესტირების რეჟიმში • საბაჟო გადაწყვეტილებების მართვის სისტემების (CDMS) დანერგვა ტესტირების რეჟიმში
5.2.3 რკინიგზით გადაადგილებული ტვირთების შესახებ წინასწარი ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში ასახვა	საქართველოს რკინიგზის მიერ რკინიგზით გადაადგილებული ტვირთების შესახებ წინასწარი ინფორმაციის საბაჟო ორგანოსთვის ციფრულ ფორმატში მიწოდება უზრუნველყოფილია	უწყების წლიური ანგარიში rs.ge	შემოსავლების სამსახური		საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია. საქართველოს რკინიგზის მხრიდან შემოსავლების სამსახურის მიმართ მონაცემთა გაცვლის სისტემის სრულყოფილად გამართვამდე, ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 6.	დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან				
ამოცანა 6.1.	**ტელეკომუნიკაციების, ელ. კომერციისა და ფოსტის მომსახურების სფეროებში ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საფოსტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა**				
6.1.1 საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების კანონმდებლობის ევროპულ ელექტრონულ საკომუნიკაციო კოდექსთან (EECC) დაახლოება	მომზადებულია საკანონმდებლო პროექტები	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	მომზადებულია ცვლილებების პროექტები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ევროპარლამენტის შემდეგ დირექტივებთან დაახლოების მიზნით: ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავების და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ (2002/58/EC); ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების ავტორიზაციის შესახებ (2002/20/EC); ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებთან და მათთან დაკავშირებულ ობიექტებთან წვდომისა და ურთიერთდაკავშირების შესახებ 2002/19/EC); ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ (2002/21/EC). ამასთან, სატელეკომუნიკაციო უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზნით, მომზადებულია ევროპული ელექტრონული საკომუნიკაციო კოდექსის (EECC) მიხედვით ცვლილებების პროექტი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ევროკავშირთან შეთანხმებული XV-B დანართი-ის განახლების შემდეგ, გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსთან (EU) 2018/1972. კოდექსი აუქმებს ზემოთ ხსენებულ დირექტივებს, რომლებზეც ამჟამად მითითებულია ასოცირების შეთანხმების არსებულ ვერსიაში, კერძოდ, დირექტივებს 2002/58/EC, 2002/20/EC, 2002/19/EC, 2002/21/EC და 2002/22/EC. ამრიგად, შესაბამისი საქმიანობა განხორციელდება განახლებული დანართის შესაბამისად.
6.1.2. "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მიღება	მიღებული "ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონი	www.matsne.gov.ge DCFTA განხორციელების ანგარიშიwww.DCFA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		მომზადებულია „ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი მის თანმდევ კანონპროექტებთან ერთად და უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მათი წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის. ევროკომისიასთან „ფოსტის შესახებ“ კანონის პროექტზე მოლაპარაკებების შემდეგ, შეთანხმდა, რომ XV-C დანართის განახლებისთანავე, საქართველო, არსებული ვალდებულებების (დირექტივა 97/67/EC, როგორც შესწორებულია დირექტივებით 2002/39/EC და 2008/6/EC) გარდა, განახორციელებს საზღვრისპირა ამანათების მიწოდების მომსახურების შესახებ (EU) 2018/644 რეგულაციის დებულებების ტრანსპოზიციას კანონპროექტში, ევროკომისიის წინადადების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ XV-C დანართის განახლება ოფიციალურად არ დასრულებულა, მომზადებული კანონპროექტი უკვე ასახავს როგორც საფოსტო

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					დირექტივების შესაბამის დებულებებს, ასევე ევროკომისიის წინადადებას საზღვრისპირა ამანათების მიწოდების მომსახურების შესახებ (EU) 2018/644 რეგულაციის ინტეგრირების შესახებ.
მიზანი 7.	**საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება**				
ამოცანა 7.1.	**საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება და ამ თემატიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების და ინსტრუქციების შემუშავება**				
7.1.1. საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და განხორციელება ასოცირების შეთანხმების, XVI-C, XVI-D, XVI-E, XVI-F, XVI-G, XVI-H, XVI-I, XVI-J, XVI-K დანართების შესაბამისად	მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ასოცირების შეთანხმების დანართების შესაბამისად. კონცესიების შესახებ დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება ასოცირების შეთანხმების, XVI-D XVI-F, XVI-G, XVI-H XVI-I, XVI-K	www.procurement.gov.ge; www.spa.ge; DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFA.gov.ge www.ppp.gov.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო		საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის ამოქმედებამდე, მიმდინარეობს მუშაობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ არსებული კანონის ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით. კერძოდ, განხორციელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის: • შესყიდვის ახალი ინსტრუმენტების დანერგვას, როგორიც არის ჩარჩო შეთანხმება და ელექტრონული კატალოგი. • მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს ქვეკონტრაქტორის ცნების ინსტიტუციური დანერგვის მეშვეობით. • ეკონომიკურ აქტივობებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაფართოებას სახელმწიფო შესყიდვების დარეზერვების მექანიზმის დანერგვის სახით. • შემსყიდველი ორგანიზაციების უფლებამოსილების განსაზღვრას, არ დაუშვან იმ პირების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	დანართების შესაბამისად.				რომლებიც დაკავშირებული არიან კანონით განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულებებთან. კერძოდ, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, ასევე მაღალი საზოგადოებრივი საფრთხის მქონე დანაშაულებთან.
7.1.2. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე "მეორადი კანონმდებლობის" - კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება	უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება	procurement.gov.ge; spa.ge;	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „საჯარო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების მიზნით, რომელიც საქართველოს კანონში მიმდინარე ცვლილებების თანახმად, ამოქმედდება 2030 წლის 1 იანვრიდან.
7.1.3. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონიდან გამომდინარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება	მომზადებული და გამოქვეყნებული მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აგრძელებს მუშაობას ახალი სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ახალი რეგულაციების, პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესახებ ცოდნის ზრდას. 2026 წლის 23 იანვარს გაიმართა საერთაშორისო სემინარი საქართველოში ენერგო-ეფექტური საჯარო შესყიდვების (EEPP) კვლევის თაობაზე. კვლევა მომზადდა GIZ -ის „საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - ECO Georgia" პროგრამასთან თანამშრომლობით. კვლევის მიზანია საჯარო შესყიდვების სფეროში ენერგო-ეფექტური შესყიდვების ოპერაციების თაობაზე არსებული პრაქტიკის შესწავლა, მისი შემდგომი განვითარების მიზნით. სემინარზე მოწვეულნი იყვნენ

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე რეგიონებიდან მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
ამოცანა 7.2.	**სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება**				
7.2.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ახალი ელ. სერვისების, პროცედურების და ინსტრუმენტების განვითარება	სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დამატებით დანერგილი ცალკეული სერვისები, მოდულები და შესაძლებლობები	მოდერნიზებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (e-Procurement; Electronic Government Procurement system) სატესტო რეჟიმი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	იუსტიციის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო; ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	ელექტრონული სერვისების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2026 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით, დაინერგა შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქციები: • 2026 წლის 1 იანვრიდან, ბაზრის კვლევა შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის სავალდებულო გახდა და კანონმდებლობის შესაბამისად, ტენდერების ერთიანი ელექტრონული სისტემის სრულიად ახალ (MRS) მოდულში განხორციელდა ცვლილებები. • გამომდინარე იქიდან, რომ დაფუძნდა ახალი ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, შეიქმნა ახალი საიტი - cpb.gov.ge - რომელიც ამჟამად სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს.
ამოცანა 7.3.	**ადამიანური რესურსების განვითარება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში**				

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
7.3.1. საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონმდებლობიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: ჯამში 20 გადამზადებული თანამშრომელი.	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	GIZ	2026 წლის 16-20 თებერვალს, თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) მხარდაჭერით, ქ. ანკარაში გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური დელეგაციის სასწავლო ვიზიტი თურქეთის საჯარო შესყიდვების უწყებაში (KIK). ვიზიტის მიზანი იყო სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოწინავე გამოცდილების გაზიარება, მათ შორის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის და მასთან დაკავშირებული რეფორმების, ინსტიტუციური მოწყობის, შესყიდვების პროცესში დავების განხილვის მექანიზმების, ელექტრონული სისტემის განვითარების და ასევე გამჭირვალეობის, მონიტორინგისა და კონტროლის პრაქტიკის გამოყენების თაობაზე. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში პარტნიორული ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების მიზნით, უწყებებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მიმდინარე წლის 8-9 ივნისს, ქალაქ სტამბულში გაიმართა მსოფლიო ბანკის რიგით 18-ე PRIMO ფორუმი. შეხვედრას ორგანიზება გაუწიეს თურქეთის საჯარო შესყიდვების უწყებამ და PRIMO-ს პარტნიორმა საერთაშორისო საფინანსო და დონორმა ორგანიზაციებმა: (ADB, EBRD, IDB, EIB, AIIB). ფორუმის მთავარი განხილვის თემა იყო სახელმწიფო შესყიდვებში მდგრადობის, ინოვაციისა და ტექნოლოგიების გამოყენება ხელოვნური ინტელექტის ეპოქის პირობებში. საერთაშორისო სემინარს ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სხვადასხვა სამთავრობო უწყების ოფიციალური პირები აზიის და ევროპის ქვეყნებიდან.
7.3.2. საჯარო შესყიდვების შესახებ ახალი კანონიდან გამომდინარე ტრენინგების განხორციელება შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის	შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორების და დაინტერესებული მხარეების გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა: 15 ნაკადი 2026 სასწავლო წლის განმავლობაში. ჯამში 420 მსმენელი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წლიური ანგარიში; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს e-Newsletter; procurement.gov.ge; spa.ge	სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	GIZ; სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ბიზნეს ასოციაციები	სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, სააგენტოს თანამშრომლების მიერ, 2026 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა ტრეინინგების 6 ციკლი თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“. აღნიშნული ტრეინინგის ფარგლებში, ჯამში გადამზადდა 152 სპეციალისტი, რომლებიც შესყიდვების კუთხით, დასაქმებულები არიან სახელმწიფო უწყებებში, მათზე დაქვემდებარებულ სსიპ-ებსა და შპს-ებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათ მიერ დაფუძნებულ და მათ მართვაში არსებულ ააიპ-ებში. მონაწილეებს ტესტირების საფუძველზე გადაეცათ სერტიფიკატები.
მიზანი 8.	**ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოება**				
ამოცანა 8.1.	**ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**				
8.1.1 შესაბამისი სამთავრობო ან აღმასრულებელი უწყებების წარმომადგენლებისა თვის	საანგარიშო პერიოდში ორგანიზებული/ჩატარებული არანაკლებ 5 ტრენინგი/სემი	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი -	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა	4, 5 და 6 მარტს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავების მიზნით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის ჩატარდა 12-საათიანი ონლაინ ტრენინგი: „საავტორო უფლებების დაცვა

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხზე ტრენინგების ჩატარება	ნარი/სამუშაო შეხვედრა.		„საქპატენტი“		სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში“. ტრენინგს დაესწრო 24 მონაწილე. 19 და 20 მარტს სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 8-საათიანი ტრენინგი „ინტელექტუალური საკუთრება მუზეუმებში: პრაქტიკული და სამართლებრივი ასპექტები“. ტრენინგს დაესწრო 11 მონაწილე. 2026 წლის 28-29 აპრილს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციისა (WIPO) და საქპატენტის ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია დიზაინის ეკონომიკის, რიადის ,,დიზაინის სამართლის შესახებ“ ხელშეკრულებისა და სამრეწველო დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის სისტემის შესახებ გაიმართა. კონფერენციის, რომელიც სამუშაო შეხვედრის ფორმატში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს WIPO-დან და ევროპის 14 ქვეყნიდან მაღალი რანგის სტუმრებმა, საქართველოს მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა და დარგობრივმა სპეციალისტებმა. შეხვედრის მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, დიზაინის როლის წარმოჩენა თანამედროვე ეკონომიკასა და კრეატიულ ინდუსტრიებში, ასევე რიადის ხელშეკრულებისა (RDLT) და ჰააგის სისტემის მნიშვნელობის განხილვა. ღონისძიება ემსახურებოდა გამოცდილების გაზიარებას, დიზაინის დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებასა და

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობას.
ამოცანა 8.2.	**სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ ინსტიტუციური გაძლიერება**				
8.2.1. საქპატენტის თანამშრომელთათვის ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვა; მესამე ქვეყნების მთავრობებსა და სამრეწველო ასოციაციებთან ორმხრივი შეხვედრების, და სემინარების ორგანიზება, რათა გაზიარებულ იქნას განვითარებული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება	თანამშრომელთათვის ორგანიზებული შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა (არანაკლებ 5 ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა/სემინარი)	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2026 წლის 17-19 თებერვალს საქპატენტის თანამშრომელი დაესწრო WIPO-ს მიერ ორგანიზებულ ლისაბონის სისტემის განვითარების სამუშაო შეხვედრას, რომლის მიზანიც იყო სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესება გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო დაცვის მიმართულებით. 24 და 26 თებერვალს ევროპის საპატენტო უწყების (EPO) ექსპერტებმა, გენეტიკური ინჟინერიის სფეროში საპატენტო ექსპერტიზის გამოცდილების გაზიარების, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და EPO-ში ექსპერტიზის ეტაპზე გამოყენებული სტანდარტებისა და ინსტრუმენტების გაცნობის მიზნით, საქპატენტის გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის ქიმიის, მედიცინისა და ბიოლოგიის სამმართველოს თანამშრომლებისთვის ჩაატარეს სასწავლო სესიები. სესიებს დაესწრო 9 თანამშრომელი. 16 მარტს სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციასთან (INTA) თანამშრომლობით, ინტელექტუალური საკუთრების სპეციალისტებისთვის, სასაქონლო ნიშნების ექსპერტებისთვის, იურისტებისთვის,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					პატენტრწმუნებულებისთვის, საჯარო უწყებებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „ხელოვნური ინტელექტი და სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის მომავალი“. ტრენინგს დაესწრო 62 მონაწილე. 2026 წლის 30 მარტი - 2 აპრილი საქაპტენტის თანამშრომელი დაესწრო WIPO-ს სასაქონლო ნიშნების, დიზაინისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედ კომიტეტს, რომლის მიზანიც იყო წევრი სახელმწიფოებს შორის დისკუსიის გაგრძელება და პროგრესის მიღწევა სასაქონლო ნიშნების, დიზაინებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი რეგულირების მიმართულებით. 2026 წლის 27 აპრილი - 1 მაისი საქაპტენტის თანამშრომელი დაესწრო ნიცის ექსპერტთა კომიტეტის 36-ე სესიას, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციისთვის, რომლის მიზანიც არის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციისთვის გამოყენებული საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემის განახლება და სრულყოფა. 17-23 მაისს, საქპატენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ადმინისტრაციის (CNIPA) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და მართვის პრაქტიკას

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					შეეხებოდა. შეხვედრამ ხელი შეუწყო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. 2026 წლის 1–6 ივნისის პერიოდში, საქპატენტის თანამშრომელმა სტრასბურგში მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის აკადემიის (WIPO Academy), სტრასბურგის უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების კვლევის საერთაშორისო ცენტრისა (CEIPI) და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის (INPI France) ერთობლივ სპეციალიზაციის სასერტიფიკატო ტრენინგ-პროგრამაში – „ინტელექტუალური საკუთრება, ტექნოლოგიის ტრანსფერი და ლიცენზირება“. პროგრამა მიზნად ისახავდა მონაწილეთა პრაქტიკული და სტრატეგიული კომპეტენციების განვითარებას ინტელექტუალური საკუთრების მართვის, ტექნოლოგიის ტრანსფერის, კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ლიცენზირების მიმართულებით. 2026 წლის 2-4 ივნისს საქპატენტის წარმომადგენელმა WIPO-ს აღსრულების საკონსულტაციო კომიტეტის სესიაში მიიღო მონაწილეობა და წარდგა პრეზენტაციით თემაზე: „საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების საშუალებით“.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
8.2.2 საქპატენტის საქმიანობის პროცესში 1992-2017 წ.წ. ფორმირებული მატერიალური დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და გაციფრულება (დიგიტალიზაცია)	დოკუმენტების დამუშავება/გაციფრულება განხორციელდება ეტაპობრივად: 2026 წლის ბოლომდე გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 2007-2017 წლების (10 წლის) დოკუმენტების საერთო რაოდენობის 100%-ის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, 2000 წლის ჩათვლით დამუშავებული საქმეების 100% გაციფრულება, სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის 1997-2001 წლების (5 წლის) დოკუმენტების	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		საანგარიშო პერიოდში განხორციელდა: 1. გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 2002-2003 წლის დოკუმენტების ტექნიკური დამუშავება – სულ 101740 გვერდი, მათ შორის, 752 განაცხადი (382 საქმე). 2. გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 1994–1995 წლების დოკუმენტების გაციფრულება – სულ 27003 ფაილი; ასევე - გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის 1994-1995 წლების დოკუმენტების ყდების გაციფრულება – სულ 320 ფაილი; შეიკერა 320 საქმე. 3. სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის 1993 წლის დოკუმენტების სრული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება - სულ 162 განაცხადი (40 საქმე) 4. სასაქონლო ნიშნების დეპარტამენტის 1998 წლის დოკუმენტების სამეცნიერო დამუშავება 40209 განაცხადი (10048 საქმე).

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	100% დამუშავება				
ამოცანა 8.3.	**ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება**				
8.3.1 ტრენინგების, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით	ჩატარებული ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა (არანაკლებ 5 ტრენინგი/საინფორმაციო შეხვედრა)	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		2026 წლის 16 თებერვალს საქპატენტის თავმჯდომარემ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას გადასცა 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი 275 ერთეული დამტკიცებული კურიკულუმის სახელმძღვანელო და 100 ერთეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევი. აღნიშნული მასალა საქპატენტის პოლიგრაფიულ ბაზაზე დაიბეჭდა საქპატენტსა და ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას შორის 2025 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. 2026 წლის 25 მარტს საქპატენტის წარმომადგენლებმა ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარეს

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					2-დღიანი ტრენინგი მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელთა სწავლებას ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს მათი ცოდნის გაღრმავებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. 2026 წლის 3 აპრილს საქპატენტის სათავო ოფისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ეწვივნენ. ვიზიტი უკავშირდებოდა სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ არჩევით პრაქტიკულ კომპონენტს „საქპატენტის კლინიკას“, რომელიც 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ამოქმედდა და ითვალისწინებს პრაქტიკულ სწავლებას საქპატენტში. „კლინიკა“ სტუდენტებს საშუალებას აძლევს უშუალოდ ადგილზე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, გაეცნონ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქმიანობის სპეციფიკას და ექსპერტიზის პროცედურებს. 2026 წლის 20 აპრილს საქპატენტის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „კვლევებიდან შედეგებამდე – პატენტების როლი ტექნოლოგიების გადაცემაში“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შესაბამისი დარგის წამყვანმა ექსპერტებმა და აკადემიური, თუ ინსტიტუციური სფეროს ლიდერებმა.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					აპრილიდან, საქპატენტისა და ევროპის საპატენტო უწყების (EPO) თანამშრომლობის შედეგად, EPO-ს აკადემიის 30-მდე უფასო ონლაინ თვითმართული კურსი ხელმისაწვდომია საქართველოში ფართო აუდიტორიისთვის. ინიციატივა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საპატენტო განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნისა და პროფესიული უნარების განვითარებას. 2026 წლის 30 აპრილს საქპატენტმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს უმასპინძლა. საქპატენტის სათავო ოფისს ენერგეტიკის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „საინჟინრო მენეჯმენტის“ სტუდენტები სასწავლო ვიზიტის ფარგლებში ეწვივნენ. საქპატენტში სტუდენტები გაეცნენ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების, დიზაინის, გამოგონებებისა და ასევე მცენარეთა ახალი ჯიშების მიმართულებით მიმდინარე საქმიანობას. ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის საგაზაფხულო სესიაზე (DL101GE26S1) სწავლება დაიწყო 5 მაისს და დასრულდა 11 ივნისს. 174 რეგისტრირებული მონაწილიდან ფინალური ტესტი დაწერა 99-მა (56.8%) მონაწილემ. მათგან გამოცდა წარმატებით ჩააბარა 98-მა მონაწილემ. 2026 წლის 17 ივნისს საქპატენტმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს გადასცა უწყების

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					პოლიგრაფიაში დაბეჭდილი საგანმანათლებლო რესურსები: 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილი კურიკულუმის მეთოდური სახელმძღვანელოს 100 ეგზემპლარი და ინტელექტუალური საკუთრების თემატიკაზე შექმნილი საბავშვო ზღაპრები, რომლებშიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების შესახებ სახალისო და შემეცნებითი ისტორიებია მოთხრობილი. აღნიშნული საგანმანათლებლო მასალები ხელს შეუწყობს სკოლამდელი განათლების პროგრამის სრულფასოვან განხორციელებას, სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევასა და ბავშვთა მრავალმხრივ განვითარებას.
8.3.2. საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტებისა და ფლაერების გამოცემა	გამოცემული საინფორმაციო ხასიათის მასალების რაოდენობა	გამოცემული ბუკლეტები და ფლაერები	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“		საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტი „დაიცავით თქვენი სასაქონლო ნიშანი მთელ მსოფლიოში“ ფორმატი: A5, 2 გვ., ტირაჟი: 1400 ეგზ.
ამოცანა 8.4.	**კონტრაფაქციისა და პირატობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელება**				
8.4.1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება	მფლობელთათვის და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	-	აქტივობის განხორციელება დაგეგმილია მომდევნო კვარტლებში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ცნობიერების ამაღლების მიზნით	ტრენინგების რაოდენობა (არანაკლებ 3 ტრენინგი/სემინარი ან/და სამუშაო შეხვედრა);				
ამოცანა 8.5.	**„ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან"**				
8.5.1 საქართველოს კანონმდებლობის ევროპარლამენტისა და საბჭოს „გაუმჟღავნებელი ნოუ-ჰაუსა და ბიზნეს ინფორმაციის (სავაჭრო საიდუმლო) კანონსაწინააღმდეგო მოპოვებისგან დაცვის, მათი გამოყენებისა და კანონსაწინააღმდეგო გამჟღავნებისგან დაცვის შესახებ" 2016 წლის 8 ივნისის 2016/943 დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით "სავაჭრო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მიღება.	"სავაჭრო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება	Sakpatenti.gov.ge	სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი"		„სავაჭრო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონპროექტი მომზადდა საქპატენტის რესურსით. კანონპროექტის შინაარსობრივი დატვირთვის, რეგულირების საგნის სირთულისა და კომპლექსურობიდან გამომდინარე, მომზადებული კანონის პროექტი გადაეგზავნა სხვადასხვა უწყებებს შენიშვნებისა და წინადადებებისთვის. ამჟამად მიმდინარეობს წარმოდგენილი პოზიციების განხილვა.
მიზანი 9.	**კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების სფეროების განვითარება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით**				

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
ამოცანა 9.1.	**ცნობიერების ამაღლება საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებში კონკურენციისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების პოლიტიკის მიმართულებით**				
9.1.1. კონკურენციის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება	ჩატარებული სემინარებისა და შეხვედრების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციის ა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2026 წლის 6 თვეში სააგენტოს ორგანიზებითა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, სააგენტოს წარმომადგენლებმა კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს მასშტაბით გამართეს 24 შეხვედრა საჯარო სკოლებში. დამატებით, სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა (სანგუ) და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის (Northern Kentucky University, აშშ) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებულ ბიზნესფორუმში - „NextGen Business Forum 2026“, რომლის ფარგლებშიც ისაუბრა კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიმართულებით. ასევე, სააგენტოს სასწავლო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, უწყების წარმომადგენლებმა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. დისკუსიის მთავარი თემები კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ბოლო პერიოდის საკანონმდებლო

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					ცვლილებები, და უწყების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იყო.
9.1.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სემინარების და შეხვედრების ორგანიზება კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის	ჩატარებული სემინარებისა და შეხვედრების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		სააგენტოს ორგანიზებით, WTO-ის ვაჭრობაში დაცვითი ზომების, კერძოდ, ანტიდემპინგური ღონისძიებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით სემინარი გაიმართა. ღონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესასოციაციებისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების სისტემით დაინტერესებული კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამართული 2-დღიანი ღონისძიების მიზანი საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება იყო — WTO-ს ვაჭრობაში დაცვითი ზომების, კერძოდ, ანტიდემპინგური ღონისძიებების სამართლებრივი და მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიმართულებით. შეხვედრები შესწავლის ორგანოსა და სხვა შესაბამისი საჯარო უწყებების ინსტიტუციურ გაძლიერებას ემსახურებოდა.
ამოცანა 9.2.	**თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება**				
9.2.1. კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგების/სემინარების/სასწავლო ვიზიტების ორგანიზება	ჩატარებული ტრენინგების/სემინარები/სასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		2026 წლის პირველ 6 თვეში სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ 11 ღონისძიებაში, რომლებიც ორგანიზებული იყო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოური კონკურენციის უწყებების მიერ, როგორებიცაა ICN, OECD, OECD-GVH, World Bank, თურქეთის კონკურენციის უწყება, კვიპროსის კონკურენციის უწყება და ა.შ. დამატებით, სააგენტოს სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი სახელწოდებით -

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					„ხელოვნური ინტელექტის (AI) და საქმის ორგანიზების ინსტრუმენტების სწავლების პროგრამა“, უწყებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მათი პროფესიული გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.
9.2.2. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	ჩატარებული ტრენინგების/ სემინარები/ს ასწავლო ვიზიტების რაოდენობა	სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო		აქტივობის შესრულება იგეგმება 2026 წლის მომდევნო კვარტლებში.
ამოცანა 9.3.	**კონკურენციის პოლიტიკის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან**				
9.3.1 კონკურენციის პოლიტიკის მათ შორის, სახელმწიფო დახმარების მიმართულებით, მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების განხორციელება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით	განახლებული/ მიღებული სამართლებრივი აქტები	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სააგენტოს წლიური ანგარიში, www.gcca.gov.ge	სსიპ საქართველოს კონკურენციის ა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი	2026 წლის 15 ივნისს „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანებაში შევიდა რიგი ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს კონცენტრაციების კონტროლის მიმართულების მეტად ეფექტიან აღსრულებას და შეესაბამება ევროკავშირში არსებულ ტენდენციებსა და პრაქტიკას, მათ შორის 139/2004 რეგულაციას.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 10.	**მდგრადი განვითარების ხელშეწყობა**				
ამოცანა 10.1.	**ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კონსერვაციის ხელშეწყობა**				
10.1.1 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და FAO/GFCM-ს შორის მჭიდრო და უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში, პრიორიტეტულ სახეობებზე კვლევის ჩატარება შავი ზღვის არეალზე	BlackSea4Fish პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების რაოდენობა და საკვლევი სახეობების რაოდენობა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	2026 წლის 4 თებერვალს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO) და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (NEA) შორის გაფორმდა საგრანტო შეთანხმება პროექტის „მონიტორინგი და მონაცემთა შეგროვება საქართველოს შავი ზღვის თევზჭერის სექტორში“ განხორციელების მიზნით. პროექტის ფარგლებში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი აქტივობები: 1. შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე (გონიო–ანაკლიის მონაკვეთში) რაპანას (Rapana venosa) კვლევა სტანდარტიზებული ბიმ-ტრალის გამოყენებით- შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე (გონიო– ანაკლიის მონაკვეთი) განხორციელდა სამეცნიერო-საზღვაო ექსპედიცია, რომლის ფარგლებშიც რაპანას ნიმუშები შეგროვდა 23 კვლევით სადგურზე, ასევე დამუშავდა ბიოლოგიური მასალა, მომზადდა სტანდარტიზებული მონაცემთა ბაზა, განხორციელდა სტატისტიკური ანალიზი და რესურსის შეფასება საერთაშორისო მეთოდოლოგიის შესაბამისად; 2. კამბალას სახლართი ტიპის ბადეების (ბადის თვალის ზომები: 340 მმ, 360 მმ და 400 მმ) თევზჭერის ძალისხმევის შედარებითი კვლევა- 2026 წლის 5 მარტიდან 15 მაისის პერიოდში,

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გონიოს აკვატორიაში შესრულდა 11 სამეცნიერო-სარეწაო გასვლა, შეფასდა სამი განსხვავებული თვალის ზომის (340, 360 და 400 მმ) ფსკერული ბადის სელექციურობა და ეფექტურობა, შეგროვდა კამბალას ბიოლოგიური მონაცემები, აღირიცხა თანჭერილი (bycatch) სახეობები და მომზადდა შესაბამისი მონაცემთა ბაზა. 3. მეთევზეთა შესახებ სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების შეგროვება - ქ. ფოთსა და ქ. ბათუმში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მეთევზეები, მეთევზეთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, GFCM-ის ექსპერტები, ასევე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლები. შეხვედრების ფარგლებში, GFCM-ის სტანდარტული კითხვარების გამოყენებით, შეგროვდა მეთევზეთა სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები სრულად განხორციელდა. განხორციელებული სამუშაოების შედეგად მომზადდა საბოლოო ტექნიკური ანგარიშები და წარედგინა GFCM-ის სამდივნოს. ამასთანავე, შემუშავდა სტანდარტიზებული მონაცემთა ბაზები, რომლებიც აიტვირთა BlackSea4Fish პროექტის პლატფორმაზე. 2026 წლის 25 მარტს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO) -სა და სსიპ

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					გარემოს ეროვნულ სააგენტოს (NEA) შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „ექსპერიმენტული დემერსალური ტრალური კვლევა საქართველოს წყლებში“ განხორციელების მიზნით. პროექტის ფარგლებში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი აქტივობები: 2026 წლის 25–30 ივნისის პერიოდში განხორციელდა ოთხდღიანი სამეცნიერო-საზღვაო ექსპედიცია, რომლის ფარგლებშიც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე (სარფი– ფოთის მონაკვეთი) წინასწარ შერჩეულ 20 კვლევით სადგურზე ჩატარდა კვლევები FAO-ს მიერ სააგენტოსთვის გადმოცემული სტანდარტიზებული დემერსალური ტრალის გამოყენებით. ექსპედიციის ფარგლებში შეგროვდა თევზის დემერსალური სახეობების, მათ შორის ხონთქარას, მერლანგის, კამბალას და კატრანის ბიოლოგიური ნიმუშები, ამჟამად მიმდინარეობს ნიმუშების ლაბორატორიული დამუშავება, ბიოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა და მიღებული მონაცემების ანალიზი. კვლევის მეორე ეტაპის განხორციელება დაგეგმილია 2026 წლის შემოდგომაზე.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.1.2. ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	შემუშავებულია ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		დაიწყო პროექტის მეორე ფაზა. NBSAP-ის განახლებისთვის გამოცხადებულია ტენდერი და წინადადებების მიღება დასრულდება 2026 წლის 30 ივლისს.
10.1.3. EUNIS-ის კლასიფიკაციის შესაბამისად ჰაბიტატების იდენტიფიცირების დაწყება	შემუშავებულია სამიზნე ჰაბიტატების გავრცელების რუკები	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში; DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	Biodiversa+European Biodiversity Partnership	სამიზნე ჰაბიტატები შერჩეულია, თუმცა პროექტის განხორციელება არ არის დაწყებული რადგან ველოდებით ევროკომისიიდან საგრანტო პროცედურების დასრულებას.
10.1.4. სახეობათა ეროვნული აღდგენის გეგმის განხორციელების დაწყება	დაწყებულია მინიმუმ ერთი სამიზნე სახეობის აღდგენის პროექტი სახეობათა აღდგენის გეგმის შესაბამისად	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლიური ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ ველური ბუნების სააგენტო	სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმის შესაბამისად სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახორციელებს შემდეგი სახეობების აღწარმოების ღონისძიებებს: კავკასიური კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), ნიამორი (Capra aegagrus), ქათმისებრთა სახეობები (გნოლი (Perdix perdix), კაკაბი (Alectoris chukar), კოლხური ხოხობი(Phasianus colchicus)), ნაკადულის კალმახი (Salmo caspius, Salmo labrax). კავკასიური კეთილშობილი ირმის საშენის გარე პერიმეტრის და თვითონ ირმის ინდივიდების

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
					მდგომარეობის შესახებ მონიტორინგი, კრწანისის ტყე-პარკში დასრულდა ახალი ღია ვოლიერებისა და გამოსაზრდელების, საწიწილე და საინკუბატორო ვოლიერების მშენებლობის ძირითადი ნაწილი, კალმახის სადედე ინდივიდებს ჩაუტარდათ გენეტიკური იმუნიტეტის ასამაღლებელი სამკურნალო და სადეზინფექციო პროცედურები, სადედე კალმახები გადახარისხდა, წონის, ზომის და პოპულაციის მიხედვით, შეფასდა ნიამორის რეინტროდუქციისთვის შერჩეული ტერიტორია (თეთრობის დაცული ტერიტორია) და დაიგეგმა საჭირო ქმედებები ღონისძიებამდე.
10.1.5. ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის მონიტორინგისა და კონტროლის გაძლიერება	ტყის მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებით დაფარულია სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სრული ტერიტორია (1.7 მლნ ჰა); ტყის დაცვასა და მართვაში ჩართული პერსონალის რიცხოვნობა გაზრდილია: ტყის მცველების	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საკანონმდებლო ცვლილებები დამტკიცებულია. განკარგულების პროექტი გაგზავნილია და მას შემდეგ, რაც მოხდება მთავრობის მხრიდან განკარგულების მიღება, დაიწყება შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	რაოდენობის ზრდა 10%-ით, მეტყევეების 90%-ით. უბნის უფროსების 9 %-ით				
ამოცანა 10.2.	**კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების/ხელშეკრულებების შესრულება**				
10.2.1 ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2024-2025) განხორციელების 2025 წლის ანგარიშის მომზადება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარდგენილი - კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (2024-2025) წლიური ანგარიში	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდი www.mepa.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) შესრულების სამოქმედო გეგმის (2024-2025) განხორციელების 2025 წლის ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის;
10.2.2 საქართველოს კლიმატის ცვლილების ახალი სამოქმედო გეგმის (2026-2028) შემუშავება	ჩამოყალიბებულია მინიმუმ 2 სამუშაო ჯგუფი; შემუშავებული ა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		საქართველოს კლიმატის ცვლილების ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება დაიწყო. პროექტი ხორციელდება გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (United Nations Office of Project Services - UNOPS) ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო განმახორციელებელი არის კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC). 7 ივლისს გაიმართა საჯარო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან, რომელზეც გამოცხადდა პროექტის დაწყების შესახებ და ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები.
10.2.3 განახლებული NDC 3.0-ის	საქართველოს კლიმატის	DCFTA	საქართველოს გარემოს		საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგიის განახლება დაიწყო. პროექტი ხორციელდება გაეროს

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA-ის) და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
განხორციელების მიზნით საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლების დაწყება	ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლებისთვის შერჩეული არიან ექსპერტები შექმნილია მინიმუმ 2 სამუშაო ჯგუფი	განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		პროექტების მომსახურების ოფისის (United Nations Office of Project Services - UNOPS) ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო განმახორციელებელი არის კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC). 7 ივლისს გაიმართა საჯარო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან, რომელზეც გამოცხადდა პროექტის დაწყების შესახებ და ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები.
10.2.4 კლიმატის ცვლილებასთან "ადაპტაციის ეროვნული გეგმის" (NAP) შემუშავების დაწყება	შექმნილია პროექტის მართვისა და კოორდინაციის მექანიზმი შექმნილია მინიმუმ 4 სამუშაო ჯგუფი	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ადაპტაციის ეროვნული გეგმის (NAP) შემუშავება დაიწყო. პროექტი ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) ფინანსური მხარდაჭერით, მისი განხორციელების საერთაშორისო პარტნიორი არის გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), ხოლო ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი. პროექტის განხორციელებისთვის შეირჩა კომპანია „ეკოტონი“. გახსნითი ღონისძიება ჩატარდა მიმდინარე წლის 5 ივნისს, სადაც განხილული იყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, კოორდინაციის მექანიზმები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩარჩო, ასევე წარმოდგენილი იყო პროექტის ამოცანები და მისი სამომავლო განხორციელების გეგმა. მიმდინარე წლის 9 და 10 ივლისს ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდა სექტორული ჯგუფების ჩამოყალიბება და დაინტერესებული მხარეების ამ ჯგუფებში ჩართვა.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.2.5 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) საქართველოს მეორე ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (BTR 2) შემუშავება	ჩამოყალიბებულია სამუშაო ჯგუფი BTR 2-ის მოსამზადებლად; შემუშავებულია BTR 2-ის სამუშაო ვერსია	DCFTA განხორციელების ანგარიში www.DCFTA.gov.ge	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		გლობალური გარემოსდაცვითი ფონდმა (GEF) საქართველოს მთავრობას ოფიციალურად აცნობა BTR 2 შემუშავებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფის თაობაზე. შესაბამისი ეროვნული პროცედურების გავლის შემდეგ დაგეგმილია დოკუმენტის შემუშავების დაწყება.
ამოცანა 10.3.	**შრომის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად**				
10.3.1 დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება შრომითი ნორმების შესახებ	განხორციელებულია მინიმუმ 30 საინფორმაციო /სამუშაო შეხვედრა ცხელი ხაზის (1575)	შრომის ინსპექციის საქმიანობის წლიური ანგარიში; შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდი	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და	2026 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის საკონსულტაციო ცენტრმა/ცხელმა ხაზმა (15-75) 7 835 შემოსულ ზარს გაუწია კონსულტაცია; ასევე, სოციალური ქსელების - სამსახურის Facebook გვერდის, YouTube არხისა და ვებგვერდის საშუალებით გავრცელდა 2 ვიდეორგოლი, რომელიც ეხებოდა დროებითი შრომისუუნარობისა და

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	მეშვეობით არანაკლებ 10 000 შემოსულ ზარზე გაწეულია კონსულტაცია; არასრულწლოვანთა შრომის, შრომით ურთიერთობებში ანტი დისკრიმინაციული დებულებების, იძულებითი შრომის, შრომითი ექსპლუატაციის, შრომის უსაფრთხოებისა და სხვა შრომითი ნორმებით განსაზღვრულ საკითხებზე მომზადებული მასალების რაოდენობა.	lio.moh.gov.ge		სოციალური დაცვის სამინისტრო	ბიულეტენზე გასვლის საკითხებს, ასევე, შრომის უსაფრთხოებაზე ახალ კამპანიას - საფრთხე არ აფრთხილებს, უსაფრთხოება უნდა დაგეგმო!“. აქვე აღსანიშნავია, რომ შრომის უსაფრთხოების კამპანიის „საფრთხე არ აფრთხილებს, უსაფრთხოება უნდა დაგეგმო!“ ფარგლებში სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა 5 ეთერი, სადაც განხილულ იქნა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის, პრევენციული მიდგომების საჭიროება და სამსახურის მანდატთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, კამპანიის ფარგლებში ქართულ ენაზე მომზადდა 6 ელექტრონული ბანერი *(სახლში გელოდებიან; გამოცდილება ვერ შეცვლის უსაფრთხოების წესებს; უსაფრთხოება ქმნის შესაძლებლობებს; უსაფრთხოება გუნდის პასუხისმგებლობაა; შენი უსაფრთხოება მნიშვნელოვანია; 28 აპრილი შრომის უსაფრთოხების საერთაშორისო დღეა*), რომელიც გავრცელდა სოციალური ქსელისა ვებგვერდის საშუალებით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გაზიარებულ იქნა ინფორმაცია მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებზე, შრომით ნორმებზე, სამსახურის მანდატსა და საქმიანობის შედეგებზე.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
10.3.2 სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება	შრომის ინსპექტორთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელებულია სულ მცირე 1 საბაზისო ტრენინგი შიდა სწავლების გეგმის გათვალისწინებით	შრომის ინსპექციის საქმიანობის წლიური ანგარიში; შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდი lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ტრენინგი შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის ინსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის (მოქმედი და ახლად დასაქმებული პირები)
10.3.3 სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის ფუნქციონირება კანონმდებლობით განსაზღვრული, გაფართოებული მანდატის შესაბამისად	წლის განმავლობაში მანდატის ფარგლებში ჯამში განხორციელებულია არანაკლებ 2500 ინსპექტირება და ამ ინსპექტირებების შედეგად პირველადად შემოწმებულია სამუშაო ადგილები;	შრომის ინსპექციის საქმიანობის წლიური ანგარიში; შრომის ინსპექციის სამსახურის ვებგვერდი lio.moh.gov.ge	სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 272 აქტივობა (პირველადი და შემდგომი ინსპექტირებები დარღვევების აღმოფხვრამდე, მონიტორინგი), რომელმაც პირველადი ზედამხედველობის ფარგლებში 1 779 ობიექტი მოიცვა. განხორციელებული ინსპექტირებების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად სამსახურის მიერ ობიექტზე გაცემულ იქნა 12 664 მითითება და შედგა 1 712 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. რაც შეეხება, არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის მიმართულებით გამოვლენილ დარღვევებს, საანგარიშო პერიოდში:

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
	სამსახურის მიერ მომზადებული თემატური ანგარიშების გათვალისწინებით აღრიცხული საქმეების რაოდენობა არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების დარღვევის, დისკრიმინაციისა და იძულებითი შრომის მიმართულებით.				- 3 ორგანიზაციაში გამოვლინდა 4 არასრულწლოვანის მიმართ შრომითი ნორმების დარღვევის ფაქტი; - ერთ ორგანიზაციასთან მიმართებით გამოვლინდა დისკრიმინაციის 2 ფაქტი; -იძულებით შრომის ფაქტი არ დაფიქსირებულა.
10.3.4 სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეგულარული შეხვედრების უზრუნველყოფა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა	სამმხრივი კომისიის და კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა.	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის ოქმები	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის წევრი უწყებები/ორგანიზაციები	აქტივობის განხორციელება დაგეგმილია მომდევნო კვარტლებში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
მიზანი 11.	**DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანი კოორდინაციის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა**				
ამოცანა 11.1.	**DCFTA-ის სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება**				
11.1.1. DCFTA-ს შესახებ ვებ-ვერდის ეფექტიანი ფუნქციონირება	ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა; გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების პროექტების რაოდენობა	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		ვებ გვერდ ეწვია 5.1 ათასი ახალი მომხმარებელი. საქართველოს გარდა, საიტს სტურობდნენ ჩინეთიდან, სინგაპურიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და სხვ. საიტზე კომენტარებისთვის გასაჯაროვდა DCFTA-ის საკანონმდებლო პროცესში სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში შემუშავებული კანონპროექტები
11.1.2. DCFTA-ის განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობისა და ინფორმირებულობის მიზნით DCFTA საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება	წელიწადში 1 შეხვედრა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		აქტივობის განხორციელება დაგეგმილია მომდევნო კვარტლებში.
ამოცანა 11.2.	**საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების ხელშეწყობა ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი განხორციელებისთვის**				
11.2.1. DCFTA-ს განხორციელების უწყებათაშორისი ქვეკომისიის	წელიწადში 1 შეხვედრა	DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი		აქტივობის განხორციელება დაგეგმილია მომდევნო კვარტლებში.

აქტივობა	ინდიკატორი	დადასტურების წყარო	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ანგარიში
შეხვედრების ორგანიზება		წლიური ანგარიში; www.DCFTA.gov.ge	განვითარების სამინისტრო		
11.2.2. DCFTA-ს განხორციელების 2027-2029 წლების საშუალოვადიანი გეგმის შემუშავება	შემუშავებული საშუალოვადიანი გეგმა	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		აქტივობის განხორციელება დაგეგმილია მომდევნო კვარტლებში
11.2.3. DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმების ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების შემუშავება და გამოქვეყნება	მომზადებული DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმების ანგარიშები	www.DCFTA.gov.ge	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		2026 წლის 4 თებერვლის № 1-1/31 ბრძანებით დამტკიცდა DCFTA-ის და მის მიღმა ვალდებულებების განხორციელების 2026 წლის სამოქმედო გეგმა.